

ყოველდღიური ლოცვები ჩვენი ბედნიერებისათვის

ლოცვები დღის 6 საათში

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუნთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვწყალებ ჩუენ, ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალაგსებ მაღლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაეძკვდრე ჩუენ შორის და წმიდა მყუენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგვწყალებ ჩუენ (3-ჯერ).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო საბუბო, შეგვწყალებ ჩუენ; უფალო, გუკსენ და გკლზინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგვრდე უშჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო მოიხილე და განკურნენ უძღურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათვის.

ნი

სათა.

ავსებ

მეწერო,

ში

წი

ზი

მეწერენ

ჩემ

უფალო, შეგვწყალებ (3-ჯერ).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისა და მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევენთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემოყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

ფსალმუნი 22-ე

უფალმან მმწყსოს მე და მე არად მაკლდეს. ადგილსა მწუანვილსა მუნ დამაძკვარდა მე; წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამოშარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძლოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათვის. ვიდოდილათუ შორის არდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან - ამათ ნუგეშინისმცეს მე. განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლად წინაშე მაჭირებულთა ჩემთა; განაპოხე ზეთითა თავი ჩემი და სასუმელმან შენმან დამათრო მე ვითარცა ურწყულმან. წყალობად შენი, უფალო, თანა-მავალ მეყავ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, დამკვდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა, განგრძობათა დღეთასა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ალილუია,* ალილუია, ალილუია, დიდებად შენდა ღმერთო;

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებად შენდა ღმერთო;

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებად შენდა ღმერთო ჩუენო, დიდებად შენდა.

აცხოვნე, უფალო, ვრი შენი და აკურთხე სამკვდრებელი შენი, ძლევად ჯუართა ბარბაროსთა ზედა ღმრთივდაცულსა ერსა ჩუენსა მონიჭე და საფარველსა ქუეშე შენსა დაიკვე, რამთა ვიტყოდეთ: უფალო, დიდებად შენდა. ამინ.

ლოცვები დილის 9 საათზე

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისა მობეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

*ალილუია (ძვ. ებრაული სიტყვიდან ჰილლ-ელ - აქებდით ღმერთსა) - დიდება ღმრთისა ყველაფრისათვის. ღმრთის სადიდებელი შეძახილი.

სამეზის წარმოთქმის, როგორც ყოველადწმიდა სამების თითოეული პირისადმი მიმართული სადიდებელი.

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აკოცე უშჯულოებად ჩემი. უფროდ განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე; რამეთუ უშჯულოებად ჩემი მე უწყი, და ცოდვად ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე, და ბოროტი შენ წინაშე ვყავ; რამთა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა, და სძლო შჯასა შენსა. რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მიუღვა, და ცოდვათა შინა მშუა მე დედამან ჩემმან; რამეთუ ესერა ჭეშმარიტებად შეიყუარე, უჩინონი და დფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე; მასხურო მე უსუპითა და განვწმიდენ მე, განმბანო მე და უფროდ თოვლისა განვსაბეტაკენე. მასმინო მე გალობად და სიხარული, და იხარებდენ ტუაღნი დამდაბლებულნი. გარე-მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯუ-ლოებანი ჩემნი აკოცენ. გული წმიდად დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განნაგდებ მე პირიანა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა და სულითა მთავრობისა მთა დამამტკიცე მე. ვას-წავლენ უშჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ. მიქსნენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვერ-ბისა ჩემისაო; იხარებდეს ენად ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა; რამეთუ უკუეთუმცა გენება მსხუერპლი შე-მცა-მეწირა; არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხუერპლ

ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და ღამდაღლებული ღმერთმან არა შეურაცხოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა, და აღეშენენ ზღუდენი იერუსალემისანი. მაშინ გონდეს მსხუერპლ სიმათლისამ, შესაწირავი და ყოვლად-დასაწუველი, მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკანი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

აღილუა, აღილუა, აღილუა, დიდებამ შენდა ღმერთო; აღილუა, აღილუა, აღილუა, დიდებამ შენდა ღმერთო; აღილუა, აღილუა, აღილუა, დიდებამ შენდა ღმერთო ჩუენო, დიდებამ შენდა.

ღმრთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენ თანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვე სულთა ჩუენტა. ამინ.

ლოცვები დილის 12 საათზე

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევამ შენი, იყავნ ნებამ შენი, ვითარცა ცათა შინა, ვერეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისამ მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენტა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

რომელი დამკვდრებულ არს შეწევნითა მალლისამათა, საფარველსა ღმრთისა ზეცათამს განისუენოს. ჰრქუას უფალსა: კელის ამყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას. რამეთუ მან გიქსნეს შენ საფრცისა მისგან მონადირეთამსა და სიტყვსა მისგან განსართომელისა. ბეჭთ-საშუვალთა მისითა ვფარვდეს შენ, და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე. საჭურველად გარემოვადგეს შენ ჭეშმარიტებად მისი. არა გეშინოდის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი; ღუაწლისაგან, რომელი ვაღნ ბნელსა შინა, შემთხუევისაგან და ეშმაკისა შუვადღისა; დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი-მარჯვენით შენსა, ხოლო შენ არა მიგვახლნენ. ხოლო შენ თუალითა შენითა ჰხედვიდე და მისაგებელი ცოდვილთამ იხილო. რამეთუ შენ, უფალი, ხარ სასო ჩემდა და მაღალი გიყოფიეს შესავედრებელად შენდა. არა შევიდეს შენდა ძერი, და გუემამ არა მივახლოს საყოფელთა შენთა. რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთვს დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა; კვლთა მათთა ზედა აღვიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქუასა ფერკი შენი; ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვლოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი. რამეთუ მე შესვიდა და ვიქსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი. ვმა-ყოს ჩემდამო, და მე ვისმინო მისი და მისთანა ვიყო ჭირსა შინა; ვიქსნა იგი და ვადილო იგი. დღევრძელებითა განვაძლო იგი და უჩუენო მას მაცხოვარებამ ჩემი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო;
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო;
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო
ჩუენო, დიდება შენდა.

მოწყალებისა კარი განგკლე, კურთხეულო ღმრთისშობე-
ლო, რამთა, რომელნი ესე შენ გესავთ არა დავეცნეთ, არამედ
განვერნეთ წინააღმდეგობთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ
ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთაჲსაჲ. ამინ.

ლოცვები დღის 3 საათზე

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ
სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებაჲ შენი,
ვითარცა ცათა შინა, ვგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი
არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანა-
დებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ
ჩუენთა; და ნუ შემოიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკსნენ
ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

ფსალმუნი 142-

უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ, ყურად-ოლე ვედრებაჲ
ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი სიმართლითა
შენითა. და ნუ შეხუალ საშველსა მონისა შენისა თანა,

და
რო
რთო;
ხარ
ენი;
ენი
თაჲ
სნენ
მ
თა
ანა,

რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი.
რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი, და დაამდაბლა ქუეყანად
ცხოვრებაჲ ჩემი, დამსუა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკუდარი
საუკუნოჲ. და მოეწყინა ჩემთანა სულსა ჩემსა, და ჩემ შორის
შემიძრწუნდა გული ჩემი. მოვიცსენე დღეთა პირველთაჲ, და
ვიწურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა
კელთა შენთასა ვზრახევდ. განვიპყრენ შენდამი კელნი
ჩემნი, და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანაჲ ურწყული შენდამი.
მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა
ჩემსა; ნუ გარე-მიიტკევე პირსა შენსა ჩემგან, და ვემსგავსო
მათ, რომელნი შთავლენან მღვმესა. მასმინე მე განთიად
წყალობად შენი, რამეთუ მე შენ გესავ. მაუწყე მე, უფალო,
გზამ, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ შენდამი აღვიღე სული
ჩემი. მიკსენ მე მტერთა ჩემთაგან, უფალო, რამეთუ შენ
შეგვედრე-მასწავე მე, რამთა ვყო ნებაჲ შენი, რამეთუ შენ
ხარ ღმერთი ჩემი, სული შენი სახიერი მიძლოდეს მე ქუეყანასა
წრფელსა. სახელისა შენისათჳს, უფალო, მაცხოვრო მე და
სიმართლითა შენითა გამოიყვანო ჭირისაგან სული ჩემი. და
წყალობითა შენითა მოსრნე მტერნი ჩემნი, და წარსწყმიდნე
ყოველი მატყირველებნი სულისა ჩემისანი, რამეთუ მე მონაჲ
შენი ვარ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო;
ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო;

ალილუა, ალილუა, ალილუა, დიდებამ შენდა ღმერთო ჩუენო, დიდებამ შენდა.

წმიდა ნინოს ტროპარი


სიტყვსა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრასსა ქადაგებისა წარმართებო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს. ამინ.

ლოცვები საღამოს 6 საათზე

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევამ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემოიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

ფსალმური 69-ე

ღმერთო, შეწვევასა ჩემსა მომხედენ; უფალო, შეწვევად ჩემდა ისწრაფე. ჰრცხუენოდენ და კდემებოდენ, რომელნი კბიებენ სულსა ჩემსა; მართლ-უკუნ იქცენ და სირცხველულ



იქმნენ, რომელნი ზრახვიდეს ჩემთჳს ძკრსა. მიიქცენ მუნთქუესვე სირცხველელნი, რომელნი მეტყოდეს მე: ვაშა, ვაშა! გალობდენ და იხარებდენ შენდამი ყოველნი, რომელნი გეძიებენ შენ, უფალო; და თქუედ მარადის: დიდ არს ღმერთი! რომელთა უყუარს მაცხოვრებაჲ შენი. ხოლო მე გლახაკ და დავრდომილ ვარი მე; ღმერთო, შემეწიე მე; შემეწე და მკვნელი ჩემი ხარი შენ; უფალო, ნუ ჰყოვნი.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე. ამინ.

ალილუა, ალილუა, ალილუა, დიდებამ შენდა ღმერთო; ალილუა, ალილუა, ალილუა, დიდებამ შენდა ღმერთო; ალილუა, ალილუა, ალილუა, დიდებამ შენდა ღმერთო ჩუენო, დიდებამ შენდა.

წმიდა გიორგის ტროპარი

ტყუეთა განმათავისუფლებლო და გლახაკთა კელის-ამყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო, წინამბრძოლო, ლუაწლით შემოსილო, დიდი მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათჳს. ამინ.

ლოცვები საღამოს 9 საათზე

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევამ შენი, იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი

არსობისად მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

ფსალმუნი 127-ე


ნეტარ არიან ყოველნი, რომელთა ეშინის უფლისა, და რომელნი ელენან გზათა მისთა. ნაშრომი ნაყოფთა შენთად შჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ. ცოლი შენი ვითარცა ვენაჭი მსხმოად კიდეთა სახლისა შენისათა; შვილნი შენნი ვითარცა ახალნერგნი ზეთის-ხილისანი გარემომს ტაბლისა შენისა. აჰა ესერა ესრეთ იკურთხოს კაცი, რომელსა ეშინოდის უფლისა. გაკურთხოს შენ უფალმან სიონით, და იხილო შენ კეთილი იერუსალემისად ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა. და იხილნე შენ შვილნი შვილთა შენთანი. მშუღობად ისრაელსა ზედა.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო ჩუენო, დიდებამ შენდა.

წმიდა ნიკოლოზის ტროპარი

კანონად სარწმუნოებისა და ხატად სიმშვედისა და მოძღურად მარხვისა გყო შენ ქრისტემან, სამწყსოდსა შენისათვის ჳემმარიტებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა სიმაღლმც და



სიგლახაკითა სიმდიდრმც, წმიდაო დიდო მღუდელმთავარო ნიკოლოზ, ვვედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის. ამინ.

ლოცვები ღამის 12 საათზე

მამო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი, ვითარცა ცათა შინა, ვგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

ფსალმუნი 133-ე

აჰა აკურთხევდით უფალსა ყოველნი მონანი უფლისანი, რომელნი სდგათ სახლსა უფლისასა, ეზოთა სახლისა ღმრთისა ჩუენისათა. დამესა აღიჰყურენით ჳელნი თქუენნი წმიდად მიმართ და აკურთხევდით უფალსა. გაკურთხოს შენ უფალმან სიონით, რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანად.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო; ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდებამ შენდა ღმერთო ჩუენო, დიდებამ შენდა.

წმიდათა თანა განუსუენე ქრისტე სულთა მონათა შინათა,
სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარებამ, არა ურვამ, არცა
სულთქუამ, არამედ სიხარული და ცხოვრებამ იგი
დაუსრულებელი.

აჰა, ესერა სიძე მოვალს შუალამესა, და ნეტარ არს
მონამ იგი, რომელი იპოვოს მღვდარედ, ხოლო ვამ არს
მონისა მის, რომელი იპოვოს უდებებით. იხილე სულო ჩემო,
და ნუ გრულის ძილისათჳს, რამთა არა გამოვარდე
სასუფეველისაგან, არამედ აღიმსთუე შუალამესა, და ჰხმობდე:
წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ ღმერთო ჩუენო,
ღმრთისმშობლისა მიერ შეგკწყალენ ჩუენ. ამინ.